# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
# დადგენილება №01-06-02/46

ქ. თბილისი 27 ივლისი 2023

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის კრედიტის აღების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) მოვალეობის შემსრულებლის ნიკოლოზ ნებიერიძის 2023 წლის 27 ივლისის №0000934109 წერილის, სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 29 აპრილის № 6/24056 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2023 წლის 27 ივლისის №01-06-02/06 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. მიეცეს თანხმობა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, კანონით დადგენილი წესით, სტუ-ის ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის, აღებულ იქნეს 15 მილიონი ლარის ოდენობის კრედიტი (აღნიშნული კრედიტის ნაწილობრივ დაფარვა მოხდება სახელმწიფოს მიერ ი. ჭავჭავაძის გამზ. №60-ში არსებული შენობა-ნაგებობის პრივატიზების შემთხვევაში 9 837 000 ლარის ოდენობით);
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №64.

**სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)**
**სპიკერი, პროფესორი** **ჯემალ გახოკიძე**